

წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით

სარგებლობის წესი

1. ზოგადი დებულებები

- 1.1. წმიდა ტბელ აბუსერისძის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი (შემდგომში „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“) აღდგენს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ფუნქციონირებისა და სარგებლობის პირობებს;
- 1.2. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი“ ვრცელდება ნებისმიერ პირზე, რომელიც სარგებლობს ან/და იმყოფება ბიბლიოთეკაში;
- 1.3. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია მხოლოდ მასში გაწვევრიანებულ პირს;
- 1.4. „ბიბლიოთეკით სარგებლობის წესის“ მიზანია ბიბლიოთეკის პერსონალისა თუ მკითხველისათვის შექმნას მუშაობისა და განათლების მიღების სათანადო პირობები.

2. ბიბლიოთეკის სამუშაო დრო

- 2.1. ბიბლიოთეკა მუშაობს ყოველდღე, გარდა კვირისა, 10-დან 18 საათამდე.

3. ბიბლიოთეკაში გაწვევრიანება

- 3.1. ბიბლიოთეკაში გაწვევრიანება სტუდენტისათვის ხდება ერთხელ – სტუდენტის სტატუსის მანძილზე;
- 3.2. გაწვევრიანების დადასტურების ნიშნად სტუდენტს ეძლევა მკითხველის ბარათი;
- 3.3. მკითხველის გაწვევრიანებისათვის აუცილებელია პირადობის მოწმობის წარდგენა და მკითხველის აბონემენტისა და მკითხველის ბარათის შევსება - საიდენტიფიკაციო ნომრის, სახელ-გვარის, პირადი ნომრის, საცხოვრებელი მისამართისა და საკონტაქტო მონაცემების მითითებით;
- 3.4. აბონემენტი ვალდებულია ბიბლიოთეკაში წარადგინოს მკითხველის ბარათი;
- 3.5. მკითხველის ბარათი არ შეიძლება გამოყენებული იყოს სხვა პირის მიერ
- 3.6. აბონემენტი ვალდებულია შეატყობინოს ბიბლიოთეკას: სახელის, გვარის, საცხოვრებელი მისამართის და საკონტაქტო მონაცემების შეცვლის შემთხვევები;
- 3.7. ბიბლიოთეკაში გაწვევრიანების დროს აბონენტი ვალდებულია გაეცნოს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს

4. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდით სარგებლობა

- 4.1. უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში წიგნის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;
- 4.2. მკითხველს შეუძლია დროებით, წინასწარ განსაზღვრული ვადით, მაგრამ არაუმეტეს 3 დღისა, გაიტანოს ბიბლიოთეკიდან ის წიგნი, რომლის რამდენიმე ეგზემპლარი მოიპოვება ბიბლიოთეკაში;
- 4.3. სამკითხველო დარბაზში მუშაობის დასრულების შემდეგ მკითხველმა წიგნი უნდა ჩააბაროს ბიბლიოთეკის სპეციალისტს;
- 4.4. წიგნები, რომლებიც ბიბლიოთეკას აქვს ერთი ეგზემპლარი, ბიბლიოთეკიდან არ გაიცემა, ასეთი წიგნებით სარგებლობა დაშვებულია მხოლოდ სამკითხველო დარბაზში;
- 4.5. ამ მუხლის 4.2 პუნქტით განსაზღვრული ვადა ეხება მხოლოდ ლექციებისათვის (სემინარი, პრაქტიკული და ა.შ.) განკუთვნილ წიგნებს და არა მხატვრულ ლიტერატურას.

5. ბიბლიოთეკაში წიგნის დაბრუნების ვადის დარღვევის შემთხვევები და შესაბამისი პროცედურები

- 5.1. ბიბლიოთეკიდან, გარდა მე-4 მუხლის 4.2 და 4.5 პუნქტებით განსაზღვრული წიგნებისა, გატანა შესაძლებელია არაუმეტეს 10 დღის ვადით;
- 5.2. თუ მკითხველი რაიმე მიზეზით ვერ აბრუნებს წიგნს ბიბლიოთეკაში ვალდებულია აღნიშნულის შესახებ აცნობოს ბიბლიოთეკის სპეციალისტს და მასთან შეთანხმებით დააბრუნოს წიგნი ბიბლიოთეკაში მესამე პირის დახმარებით;
- 5.3. გატანილი წიგნის დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მკითხველი ვალდებულია აუნაზღაუროს ბიბლიოთეკას მიყენებული ზიანი ანალოგიური წიგნის ან მისი ღირებულების გადახდით, ამასთანავე, ჩამოერთმევა მას მკითხველის ბარათი და აღარ გაიცემა წიგნი მასზე ერთი სასწავლო სემესტრის განმავლობაში.

6. ბიბლიოთეკაში ქცევის წესები

- 6.1. ბიბლიოთეკაში მუშაობისათვის ნებისმიერმა აბონენტმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი:
 - 6.1.1. სამკითხველო დარბაზში აკრძალულია ხმაური და ხმამაღალი საუბარი, მოწევა, ასევე მობილური ტელეფონის გამოყენება;
 - 6.1.2. მკითხველებს ეკრძალებათ საკვების შეტანა ბიბლიოთეკაში, გარდა სასმელი წყლისა;
- 6.2. მკითხველს ეკრძალება: კატალოგიდან ბარათის ამოღება, წიგნის დაზიანება, ფურცლის გადაკეცვა, მინაწერების გაკეთება. ამგვარი ქცევის დადასტურების შემთხვევაში მომხარებელს შეეზღუდება ბიბლიოთეკით სარგებლობის უფლება;
- 6.3. მკითხველი ვალდებულია: დაიცვას წესრიგი და სისუფთავე, არ შეუშალოს ხელი სხვას მუშაობაში, გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს ბიბლიოთეკის მატერიალური ბაზა, წიგნზე თუ სხვა მასალაზე დაზიანების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბიბლიოთეკის სპეციალისტს

7. ბიბლიოთეკაში კომპიუტერით სარგებლობის წესები

- 7.1. ბიბლიოთეკაში კომპიუტერით სარგებლობა შეუძლია ნებისმიერ მკითხველს ვისაც აქვს შესაბამისი ცოდნა-გამოცდილება;
- 7.2. დაშვებულია უნივერსიტეტის ელექტრონული მასალების გამოყენება, მათ შორის ადგილზე კითხვა ან გადაწერა ბიბლიოთეკის სპეციალისტთან შეთანხმებით;
- 7.3. CD დისკებით სარგებლობა ბიბლიოთეკის სპეციალისტთან შეთანხმებით;
- 7.4. კომპიუტერით სარგებლობისათვის დაწესებული ლიმიტი შეადგენს 1 საათს, რომელსაც აკონტროლებს ბიბლიოთეკის სპეციალისტი.